



შპს „ქრიზოლითი+“ აკრედიტირებული

A ტიპის ინსპექტირების ორგანო



სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0301

ადასტურებს რომ,

შპს „ქრიზოლითი+“-ს

A - ტიპის ინსპექტირების ორგანო

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის

მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში

მის.: ქ. თბილისი, ს. ციცაძის №11

გაცემულია 10 სექტემბერი 2024 წელი

ძალაშია 10 სექტემბერი 2028 წელი

იხ: სფერო და სტატუსი

გენერალური დირექტორი

შპს „ქრიზოლითი +“
A-ტიპის ინსპექტირების ორგანო
თბილისი 0105, შ. დადიანის ქ. №24ა (იურიდიული)
თბილისი, ს. ცინცაძის №11 (ფაქტიური)
ელ. ფოსტა: khrizolitiplus@gmail.com
ს/კ 404474065

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტირებული სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013.
აკრედიტაციის მოწმობა GAC-IB-0301

ინსპექტირების ანგარიში/ექსპერტიზის დასკვნა №-QRT/IB-A4-24-576
(კონსტრუქციული ნაწილი)

1. **შედგენის თარიღი:** 07.10.2024წ.

2. **შევადგინე ინსპექტორები/ექსპერტები**: ბადრი ბარბაქაძე, ინჟინერ-მშენებელი, 40 წლიანი სტაჟი, კონსტრუქტორი.

3. **განაცხადი :** №QRT/IB-A4-24-576, 02.10.2024 წ.
ხელშეკრულება №QRT/IB-576, 02.10.2024 წ.

4. **დამკვეთის დასახელება:** შპს „მშენპროექტსერვისი“;

5. **ინსპექტირების ობიექტის დასახელება:** ქ. თბილისში, მირზა შაფის ქ. N5-ს და აბანოს ქ. N8-ს შორის დამაკავშირებელი ქუჩა-კიბის პროექტი;

6. **ინსპექტირების ამოცანა:** ქ. თბილისში, მირზა შაფის ქ. N5-ს და აბანოს ქ. N8-ს შორის დამაკავშირებელი ქუჩა-კიბის საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება/ექსპერტიზა;

7. **გაფრთხილებული ვარ ჩემს უფლება-მოვალეობებზე, საქ. სსკ 370 მუხლით გათვალისწინებული მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე ინსპექტირების მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და კონფიდენციალურობის მოთხოვნებზე, რაზედაც ხელს ვაწერ:**

ინსპექტორ/ექსპერტი: /ბ. ბარბაქაძე/

შპს ქრიზოლითი + 404474065 KHRIZOLITI LTD

8. წარმოდგენილი დოკუმენტები:

შპს „მშენპროექტსერვისი“-ს მიერ წარმოდგენილი ქ. თბილისში, მირზა შაფის ქ. N5-ს და აბანოს ქ. N8-ს შორის დამაკავშირებელი ქუჩა-კიბის მუშა პროექტი - გრაფიკული ნაწილი (შემსრულებელი - შპს „მშენპროექტსერვისი“, დირექტორი - ნ. წერეთელი, მთ. ინჟინერი - ვ. ბუხაიძე, კონსტრუქტორი - ზ. ოთხოზორია.

წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაზე და მასში მოყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა დამოწმებულია დირექტორის - ნ. წერეთელის მთ. ინჟინრის - ვ. ბუხაიძის და კონსტრუქტორის - ზ. ოთხოზორიას ხელმოწერებით და შპს „მშენპროექტსერვისი“-ს ბეჭდით.

9. ინსპექტირების კვლევითი ნაწილი:

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, მირზა შაფის ქ. N5-ს და აბანოს ქ. N8-ს შორის დამაკავშირებელი ქუჩა-კიბის მუშა პროექტი.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ნახაზები (105 ფურცელი).

სეისმური დარაიონების მიხედვით სამშენებლო ტერიტორია იმყოფება 8 ბალიან ზონაში. ქარის ნორმატიული დატვირთვა - 70.0 კგძ/მ^2, თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ^2.

პროექტში წარმოდგენილია ქ. თბილისში, მირზაშაფის ქ. №5-სა და აბანოს ქ. №8-ს შორის დამაკავშირებელი ქუჩა-კიბის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზები.

კიბე რთული მოხაზულობისაა, განთავსებულია რთულ რელიეფზე, მისი გეგმარებითი პარამეტრებია: მარშები, სიგანით 1.5 მ., ჯამური სიგრძით დაახლოებით 63.0 მ.

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში მიღებულია შემდეგი გადაწყვეტები:

ა) ქუჩა-კიბის საძირკვლები ეწყობა შუალედური ბაქნებისა და ქუჩა-კიბის შუალედურ ნიშნულზე მოსაწყობ ბელვედერის ქვეშ. საძირკვლები შესრულებულია რკინა-ბეტონში. საძირკვლების ძირის ნიშნულები მიღებულია ტოპო გეგმის მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული ნიშნულები დაზუსტდება მშენებლობის პროცესში და შესაძლოა საჭირო გახდეს მათი დაზუსტება რეალური სატუაციიდან გამომდინარე;

ბ) საძირკვლების ფუძის ქვეშ გრუნტები, ასევე მიღებულია შპს „თბილინვესტპროექტი“-ს მიერ ჩატარებული საინჟინრო კვლევა-ძიების მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ასევე უნდა დაზუსტდეს მშენებლობის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში შესაძლო კორექტირებებით;

გ) კიბეების, შუალედური ბაქნებისა და ბელვედერის მზიდი კონსტრუქციები, სვეტები და რიგელები, შესრულებულია ლიტონში. კონსტრუქცი ების გაბარიტები და კვეთები მიღებულია საანგარიშო პროგრამა „Lira”-ს საშუალებით ჩატარებული გაანგარიშებების საფუძველზე;

დ) ქუჩა-კიბის დეკორატიული კედლის ქვეშ დამუშავებულია რკინა-ბეტონის ლენტური საფეხურებიანი საძირკვლები, რომლის საყრდენი გრუნტი ასევე მიღებულია გეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების საფუძველზე.

ლითონის კონსტრუქციებში გამოყენებულია ფოლადის შველერები, ორტესებრი კოჭები, სხვადასხვა კვეთის მილკვადრატები, ქანჩ-ჭანჭიკები, სხვადასხვა კვეთის ჩვეულებრივი და დაღარული ფურცლები.
რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B15 და B25 კლასების ბეტონები, B500b კლასის არმატურა.
პროექტს თან ახლავს კონსტრუქციების შეერთების კვანძები და დეტალები, საჭირო და აუცილებელი შენიშვნები და მითითებები ლითონის კონსტრუქციების შედუღებების წარმოების და კოროზიისაგან დაცვის შესახებ, სათანადო სპეციფიკაციები და მასალათა ამოკრების უწყისები.
კიბის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გაანგარიშება კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში შესრულებულია სტატიკურ და დინამიკურ (8 ბალიან სეისმურ) ზემოქმედებაზე სერტიფიცირებული და ლიცენზირებული კომპიუტერული საანგარიშო პროგრამა LIRA-SAPR 2021 R3 -ის გამოყენებით (შესყიდვის სალიცენზიო ნომერი #92095856).
პროექტი დამუშავებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით, მზიდი კონსტრუქციები აკმაყოფილებენ ნორმების მიხედვით მათზე წაყენებულ სიმტკიცის და მდგრადობის პირობებს. ინსპექტირების პროცესში პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიმართ შენიშვნები არ გამოვლენილა.

10. გამოყენებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743 2008 წლის 25 აგვისტო, ქ. თბილისში დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია“;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისში სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01,01-09).

დ ა ს კ ვ ნ ა

შპს „მშენპროექტსერვისი“-ს მიერ წარმოდგენილ, ქ. თბილისში, მირზა შაფის ქ. N5-ს და აბანოს ქ. N8-ს შორის დამაკავშირებელი ქუჩა-კიბის საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციულ ნაწილს, ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორები/ექსპერტები: /ბ. ბარბაქაძე/

ტექნიკური წესით გადაამოწმა
ტექნიკურმა მენეჯერმა: /ი. ომანაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელმა: /მ. ახვლედიანი/

ინსპექტირების დაწყების თარიღი 02.10.2024 წ.
ინსპექტირების დამთავრების თარიღი 07.10.2024 წ.

ბ. ა.

შპს ქრიზოლიტი 404474085 KHRIZOLIT+ LTD